

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2 0 4 3

ქ. ბათუმი, 17 მაისი 2018 წ

„პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების  
(ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ“ ქ. ბათუმის  
მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 01 დეკემბრის N2212  
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ცვლილება იქნას შეტანილი „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 01 დეკემბრის N2212 ბრძანებაში და ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) თენგიზ პეტრიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) რამაზ მამულაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) ვახტანგ გედენიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების უფროსი (კომისიის წევრი);

დ) ომარ მახარაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (კომისიის წევრი);

ე) დიმიტრი ჭეიშვილი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (კომისიის წევრი).

2. კომისიის მდივნად განისაზღვროს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის და არქივის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ხათუნა აბულაძე“.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი